საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

03012459566891 1

KA030124595668911

№ 01-80/ო **24 / მაისი / 2011 წ.**

“ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკამდელი და კლინიკური კვლევების სტანდარტებისა და გზამკვლევების (გაიდლაინების) აღიარების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს №233/ო ბრძანების ნაწილობრივ ბათილად გამოცხადებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის მე-3 ნაწილის და მე-7 ნაწილის ”ა” ქვეპუნქტის, ასევე 62-ე და 63-ე მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი “ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკამდელი და კლინიკური კვლევების სტანდარტებისა და გზამკვლევების (გაიდლაინების) აღიარების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 4 აგვისტოს № 233/ო ბრძანების პრეამბულა.
2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პრეამბულის მოქმედების შეწყვეტა მოხდეს მისი ძალაში შესვლის დღიდან.
3. ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის 1^1მუხლის 50-ე პუნქტის და ”საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის № 249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:”

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ირაკლი გიორგობიანი